

მასწავლებელთა თანამშრომლობის გაუმჯობესება გაკვეთილის კვლევის
მეთოდით თბილისის 23-ე საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის
კათედრის მაგალითზე

ნინო მახნიაშვილი, ჯემალ ხაჩიძე, თამარ ქააძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის,
ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე, განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდლულაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები ვაცხადებთ, რომ აღნიშნული ნაშრომი არის ორიგინალური ვერსია და გამოყენებული ლიტერატურული მასალები დაცულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის მიხედვით.

26. 06. 2019

მადლობა :

მადლობა გვინდა გადავუხადოთ ქ. თბილისის 23-ე საჯარო სკოლის დირექტორს მაგდა ბარამიძეს, მოადგილეებს ნინო მუმლაძეს, ხატია ხატიაშვილსა და კვლევაში ჩართულ მასწავლებლებს თანამშრომლობისთვის. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებაში და კვლევის ჩატარებისათვის გაწეული დახმარებისათვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს ნათია ანდლულაძეს.

სარჩევი

აბსტრაქტი	1
შესავალი.....	4
თავი 1. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.....	7
1.1 სკოლის კულტურის როლი მასწავლებელთა თანამშრომლობით ურთიერთობებში	
1.2 მასწავლებელთა კოლაბორაციის დადებითი და უარყოფითი შედეგები.....	11
1.3 გაკვეთილის კვლევა.....	16
თავი 2. მეთოდოლოგია	22
2.1. ინფორმაცია სკოლის შესახებ	22
2.2 პრაქტიკის კვლევა, როგორც კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველი	23
2.3 კვლევის მიმდინარეობისას გამოყენებული მეთოდები	26
2.3.1 პრობლემის იდენტიფიცირება.....	26
2.3.2 კვლევის შეზღუდვები	29
2.3.3. კვლევის ეთიკა.....	29
2.3.4 ვალიდობა და სანდოობა.....	30
თავი 3. კვლევის პროცესი.....	32
3.1. პრობლემის იდენტიფიცირება და მონაცემთა შეგროვება	32
3.2. რაოდენობრივი კითხვარის შედეგები	33
3.3 ჩაღრმავებული ინტერვიუების ანალიზი.....	37
3.4 ინტერვიუ სკოლის დირექტორთან.....	41
3.5 დაწყებითი საფეხურის კათედრის შეფასება	42
თავი 4. განხორციელებული ინტერვენციები	45

4.1 სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება	45
4.2 სამუშაო შეხვედრები.....	45
4.3 კომუნიკაცია.....	46
4.4 გაკვეთილის კვლევის დაგეგმვის ეტაპები და ფაზები.....	46
თავი 5. კვლევის შედეგები.....	50
1. გაკვეთილის კვლევის მეთოდის დანერგვა და შედეგიანობა;	50
2. მასწავლებლებისთვის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა თანამშრომლობითი გარემოს გაუმჯობესების გზით.....	51
თავი 6. ძირითადი მიგნებები	52
თავი 7. რეკომენდაციები	53
ბიბლიოგრაფია.....	54
დანართები:.....	58
დანართი 1.....	58
დანართი 2.....	67
დანართი 3.....	74
დანართი 4.....	77
დანართი 5.....	79

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს პრაქტიკული კვლევის ანგარიშს, თემაზე მასწავლებელთა თანამშრომლობის გაუმჯობესება გაკვეთილის კვლევის მეთოდით თბილისის 23-ე საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის კათედრის მაგალითზე.

კვლევა განხორციელდა სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ თბილისის N23 საჯარო სკოლაში, დაწყებითი საფეხურის კათედრაზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების მიერ. ინტერვენციები განხორციელდა დაწყებითი საფეხურის კლასებში (I, II, და IV კლასები).

მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტსა და მასწავლებლის ეთიკის კოდექსში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მასწავლებელთა შორის თანამშრომლობასა და კოლეგიალობას. TALIS-ის კვლევის საფუძველზე, მასწავლებელთა შორის ეფექტიანი თანამშრომლობის დანერგვა სკოლებისთვის დიდი გამოწვევაა.

კვლევის პირველ ეტაპზე ძირითად ამოცანას წარმოადგენდა არსებული პრობლემის იდენტიფიცირება, მისი გამომწვევი მიზეზების დიაგნოსტიკა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

საკითხის საკვლევად გამოვიყენეთ პრაქტიკის კვლევა; მულტიდისციპლინარული მიდგომა, რაც გულისხმობს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდის გამოყენებას. ინტერვენცია მიმართული იყო მასწავლებელთა შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა აკადემიური უნარების განვითარებაზე გაკვეთილის კვლევის მეთოდით. გაკვეთილის კვლევა შედგება სულ მცირე 3 კვლევითი გაკვეთილის ციკლისაგან, რომლის დროსაც მასწავლებლების მიერ ერთობლივად ხდება დაკვირვება, შეფასება, დაგეგმვა და ანალიზი.

ინტერვენციების განხორციელების შედეგად, გაუმჯობესდა მასწავლებლებს შორის თანამშრომლობითი კულტურა, რამაც ხელი შეუწყო მათ შეემძინათ სპეციფიკური უნარ-

ჩვევები და ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ პროფესიული გამოცდილება. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია სასარგებლო იქნება როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის, ასევე საგანმანათლებლო ორგანიზაციებისთვის.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: თანამშრომლობითი კულტურა, პრაქტიკის კვლევა, გაკვეთილის კვლევა.

Abstract

The present master's thesis is the report of the practical research, on the topic – Cooperation Improvement of Teachers with the Research Method of Lesson on the Example of Primary Stage Cathedra of Tbilisi Public School № 23.

The research was carried out by students of masters degree program of Education Administration of LEPL Ilia State University at primary stage cathedra of Ilia Chavchavadze Tbilisi Public School № 23. The interventions were implemented in primary stage classes (I, II, and IV classes).

Teacher's Professional Standards and Teacher's Ethics Code have significant place cooperation and collegiate between teachers. Based on TALIS research, the introduction of effective cooperation among teachers is a great challenge for schools.

At the first stage of the research, the main task was to identify the current problem, diagnostics of its causing reasons and carry out relevant measures.

We used practical research for study the issue; multidisciplinary approach, which implies the use of both quantitative and qualitative sociological research method. The intervention was the improvement of cooperation between teachers and development of students' academic skills through the method of lesson research. The lesson research consists of at least 3 research lessons cycle in which the teachers are jointly observing, evaluating, planning and analyzing.

As a result of interventions, cooperation culture between teachers has been improved, which helped them to develop specific skills and to share professional experience with each other. Information obtained as a result of the research will be useful as for school society so as for educational organizations.

The main thematic search terms: collaborative culture, practical research, lesson study.